

## “სირცხვილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში

ყოველი ენა უნიკალურია არა მარტო სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ მასში დაფიქსირებული ეროვნული მსოფლალქმის თვალსაზრისითაც. ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკეთა მიერ ობიექტური სამყაროს დანაწევრება კარგად ჩანს ლექსიკურ ერთეულებში, რომლებსაც მხოლოდ სიტყვები კი არა, ფრაზეოლოგიზმებიც განეკუთვნება.

სემანტიკური ველის ცნება ენათმეცნიერებაში იმ ენობრივ ერთეულთა აღსანიშნავად იხმარება, რომელთაც საერთო სემანტიკური ნიშანი აერთიანებს. თავიდან ასეთ ენობრივ ერთეულებად მხოლოდ სიტყვები ითვლებოდა. მოგვიანებით ლინგვისტურ ნაშრომებში შესიტყვებათა სემანტიკური ველების აღწერაც გამოჩნდა.

ფრაზეოლოგიზმები, რომელთაც ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობები აქვთ, ერთმანეთთან სინონიმურ დამოკიდებულებაში არიან და სემანტიკურ ველში ერთიანდებიან. ერთი ველის ფრაზეოლოგიზმები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან სტილისტური შეფერილობით, ფუნქციური სფეროთი, ლექსიკურ-გრამატიკული შეხედულებით და სხვა ნიშნებით. მაგალითად, ფრაზეოლოგიზმები **სული განუტევა** და **ფეხები გაფშიაკა** სინონიმურია, ვინაიდან ორივე “მოკვდას” ნიშნავს, მაგრამ ერთმანეთისგან სტილითაც განსხვავდება და მოქმედის სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებასაც გამოხატავს გარდაცვლილისადმი.

სინონიმურობა ერთი ველის ფრაზეოლოგიზმებს შორის სხვადასხვა ხარისხისაა. ყველაზე მაღალი ხარისხით ისეთები გამოირჩევიან, რომლებიც კონტექსტში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს.

ფრაზეოლოგიური სინონიმები უხვადაა ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა შორის, რომელთა სემანტიკური დომინანტის მიხედვით დაჯგუფება მნიშვნელოვნად გვესახება მათი შემდგომი შესწავლისა და სხვა ენათა მონაცემებთან შედარებისთვის.

ჩვენ უკვე განვიხილეთ “სიკვდილისა” და “შიშის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები (იხ. *ენათმეცნიერების საკითხები* №1, №4, 1999). ამჯერად “სირცხვილის” სემანტიკურ ველს განვიხილავთ.

სირცხვილი სოციალურად განპირობებული ემოციაა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოების ონტოგენეზში ყალიბდება ამ საზოგადოებისთვის, კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმებისა და ქცევის წესების შეთვისებასთან ერთად. ამავე დროს სირცხვილის გრძნობა ერთგვარი გარანტია იმისა, რომ გარკვეული საზოგადოებრივი ნორმები შესრულდება.

ქველ-ში სირცხვილი ასეა განმარტებული: გრძობა, განცდა, რომელსაც იწვევს უხერხული, სათაკილო მდგომარეობა ან საძრახისი შეუფერებელი საქციელის ჩადენის შეგნება. ზმნა შეარცხვენს კი ასეა ახსნილი: 1) სირცხვილს განაცდევინებს, სირცხვილს მოჰგვრის, 2) ჩადენილ სამარცხვინო საქციელზე მიუთითებს, ასეთი საქციელისათვის გააკიცხავს.

1. ფსიქოლოგების აზრით, სირცხვილი შიშზე უფრო ძლიერი გრძობაა, მაგრამ იგი ერთგვარად შეზღუდულია იმით, რომ ამა თუ იმ ქმედებისათვის სირცხვილის განცდა შესაძლოა ადამიანთა მხოლოდ გარკვეულ ჯგუფში მოქმედებდეს. ეს ემოცია წარმოიშვება ადამიანის მიერ საკუთარი ან სხვათა (როგორც წესი, ახლობელთა) ქმედების მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის შეგრძნებით. თუ ადამიანი მაინც ჩაიდენდა უღირს, საზოგადოებისთვის შეუფერებელ საქციელს და ამით თავს შეირცხვენდა, მას ეს საზოგადოება სჯიდა. ჩვენს ისტორიულ სინამდვილეში დასჯა სხვადასხვაგვარად ხდებოდა და ეს ასახულია რიგ ფრაზეოლოგიზმებში.

ა) საზოგადოებრივი ნორმების დამრღვევს სამაგალითოდ და საჯაროდ სჯიდნენ. ხშირად პატივსაცემ ადამიანთა ჯგუფი წინასწარ სასამართლოს აწყობდა შეკრებილი ხალხის წინაშე, იმსჯელებდნენ, შეაფასებდნენ ჩადენილ დანაშაულს და, თუ კაცს დამნაშავედ მიიჩნევდნენ, სასჯელს აღასრულებდნენ, რაც საჯარო შერცხვენაში გამოიხატებოდა. თუ დამნაშავე კაცი იყო, ქუდს მოხდიდნენ, თუ ქალი – მანდილს (ეს, თავისთავად, უკვე დიდი სასჯელი იყო. იხ. ქვემოთ). მერე კი დამნაშავისთვის თავზე ყველას ლაფი უნდა დაესხა. თუ მშრალი ამინდის გამო ლაფი არ იშოვებოდა, მიწას წყალში აზელდნენ და ტალახს ასხამდნენ. ზოგჯერ დამნაშავეს ვირზე უკუდმა შესვამდნენ, ხელში კუდს დააკავებინებდნენ და სოფელში კარდაკარ ატარებდნენ. მას ქალი და კაცი თავზე ლაფს ასხამდა, პირში, თვალეში აფურთხებდა. ზოგჯერ დამნაშავე თვითონ ისჯიდა თავს და ნაცარს წაიყრიდა ხოლმე (თუმცა ნაცრის თავზე წაყრა გლოვის ნიშნადაც ხდებოდა). აქედან გვაქვს საჯაროდ შერცხვენის მნიშვნელობის მქონე იდიომები:

- თავზე (თავს) ლაფის (თავლაფის, თავსლაფის) დასხმა
- ლაფში ამოსვრა (ამოვლება)
- ტალახში ამოსვრა
- თავზე მიწის დასხმა
- თავზე ნაცრის დაყრა
- თავზე მწურეს (მწვირეს) დასხმა
- თავზე ბრის დაყრა
- (ეშმაკის) ვირზე შესმა (ჯდომა)
- ვირზე უკუდმა შეჯდომა
- ვირის ბაგაზე დაბმა
- თვალში ჩაფურთხება
- პირში ჩაფურთხება

**ღეჩაქუე ლაფდასხმულია  
კეფაზე წვენი არ დამასხა**

ბ) ზემოთ ვახსენეთ, რომ დამნაშავე მამაკაცებს ქუდს ხდიდნენ. ქუდი პატიოსნებისა და ვაჟკაცობის სიმბოლო იყო ისევე, როგორც უღვაში. მამაკაცები ქუდს თავიდან არ იშორებდნენ, ეკლესიაშიაც კი ეხურათ. ქუდი არ ეხურა მხოლოდ იმას, ვისაც უღირსი საქციელით თავი ჰქონდა შერცხვენილი. ხევსურეთში, სადაც სისხლის აღების წესი მოქმედებდა, მამაკაცი ქუდით მაშინ ივლიდა, როცა ახლობლის სისხლს აიღებდა. საერთოდ, ხევსურები დიდ პატივს სცემდნენ ქუდს. თუ მტრები ერთმანეთთან შესარიგებელი იყვნენ, შემრიგებელი მეორე კაცს ქუდს გაუწვდიდა. წვეულებაში მოპატიჟება ქუდის გაგზავნით ხდებოდა. თ.სახოკია აღნიშნავს, რომ სამეგრელოში მამაკაცი ქალის დასანიშნად ქუდს ხმარობდა. სვანები პატივსაცემ ადამიანზე ამბობენ: **თეთრი ქუდი ჰხურავსო**, ხოლო საზოგადოების უღირს წევრზე კი: **შავი ქუდი ჰხურავსო**. ამიტომ საქართველოში მამაკაცისთვის ქუდის მოხდა, მისი უქულოდ დატოვება შერცხვენილ დასჯის ერთერთი სახე იყო. ხანდახან ქუდს გადმოაბრუნებდნენ და უკულმა ახურავდნენ კაცს. ესეც შერცხვენის მიზნით ხდებოდა.

ქალის შემთხვევაში პატიოსნების, ოჯახისა და ქმრის ერთგულების სიმბოლო მანდილი (ღეჩაქი) იყო. მეუღლის შემარცხვენელზე იტყოდნენ: **ქმარს ქუდი მოხდაო**, ხოლო ნამუსიან ქალზე ამბობდნენ: **ქმარს ქუდი დახურაო**.

ამ ჩვეულებასთან დაკავშირებული სხვა გამოთქმებიც გვაქვს:

**მოგვეხადა ქუდი  
(თავზე) მანდილის (ღეჩაქის) მოხდა (ახდა)  
უქულოდ სიარული  
ქუდი არა გვხურია თუ  
თავსლაფის ქუდი ჰხურავს  
ქუდი ჰხურავს  
ქუდის გადმობრუნება  
ქუდსა ჰხდის**

გ) როგორც ვთქვით, ქუდთან ერთად, ვაჟკაცობის და პატიოსნების სიმბოლო უღვაშიც იყო. ვინმეს შესაქებად ამბობდნენ კიდევ: **უღვაშიც იმას ესხას და ქუდიც მას ეხუროსო**. თუ კაცი თავს შეირცხვენდა, მას ნახევარ უღვაშს მოპარსავდნენ, ქალს დაამსგავსებდნენ. ქალისთვის დამსგავსება მანდილის დახურვითაც ხდებოდა. ასეთი მამაკაცისგან კი ვაჟკაცურ საქციელს აღარავინ მოელოდა. ამის გამო გვაქვს ფრაზეოლოგიზმები:

**უღვაშის აწევა**

ულვაშის მოპარსვა  
ეს ულვაში მომპარსეთ  
ულვაში ნუ მსხმია  
ულვაში არა მქონდეს ზედ  
ულვაშის შეგინება  
ულვაშის შერცხვენა  
ულვაშის მოჭრა  
ულვაშში ჩაფურთხება  
ქალის მანდილის დახურვა  
თავზე ლენაქის დახურვა  
ლენაქის ყურში გახვევა  
ლენაქეზე გატარება  
ჩიქილა დამხურე ქალისა

დ) ხევსურეთში, როცა კაცს უზნეო საქციელი დაბრალებოდა, მას სახალხოდ იმით სჯიდნენ, რომ ჩოხის ცალ კალთას მოაჭრიდნენ. სახოკიას აზრით, ამ სასჯელის საფუძველი უძველეს დროშია საძიებელი, როცა ჩოხა პირდაპირ შიშველ სხეულზე ეცვათ და კალთის მოჭრა სასირცხო ორგანოებს გამოაჩენდა. **კალთა მოეჭრება** ნიშნავს “შერცხვება”.

ე) ასევე ხევსურული ჩვეულება ყოფილა დამხრჩვალ კატის დაკიდება ერთი კონკრეტული უზნეობის დასასჯელად. ვაჟა წერდა, რომ ეს ქალის ზნეობრივ დასჯას გულისხმობდა ოჯახის სიწმინდის შებღალვისთვის.. აქედან: **კატის დაკიდება** – წყევლა, შეჩვენება, შერცხვენა.

ვ) საქართველოში ძველად საჯაროდ დასჯის, შერცხვენის ერთერთი სახე პირზე მურის წასმა და პირის გაშავება იყო. ამიტომაც გვაქვს:

პირშავად არის  
პირის გაშავება  
პირის შემურვა  
პირზე მური ჩამოსვა

ზ) ფიზიკური სასჯელის გარდა, ზნეობრივი სასჯელიც არსებობდა. სოფლის ადათ-წესების დამრღვევზე, საჯაროდ გაკიცხვის მიზნით, ლექსებს გამოთქვამდნენ. ამის გამო შერცხვენულ ადამიანზე იტყვიან: **საქმე სალექსოდ გაიხადარ**, ხოლო ახლობლებს ურჩევდნენ: **სალექსოდ ნუ გაიხდი საქმეს**, ანუ ნუ შეირცხვენ თავსო.

თ) ხევსურეთში კარგა ხანს იყო შემორჩენილი **საწყევრის აგება**, საჯაროდ შერცხვენის მიზნით. ამის შესახებ თ.რაზიკაშვილი აღნიშნავს. საწყევარი ქვის პატარა კოშკია და მისი აგება ვინმეს სახელზე ძლიერ ზნეობრივ დაკნინებას ნიშნავს.

ო) სახოკიას ცნობით, ევროპაში 1789 წლამდე სიკვდილით დასჯის ერთი სახეობა იყო ბოძზე დაკიდება ყველას დასანახად. აქედან უნდა გვეკონდეს ქართული გამოთქმა **სამარცხვინო ბოძზე გაკვრა**.

კ) ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებული სხვა ფრაზეოლოგიზმებიც გვაქვს.

**ალაიაში გაატარებს** – ამ ფრაზეოლოგიზმთან ქველი აღნიშნავს, რომ ეს იგივეა, რაც **ბერაში გაატარებს**. თვით სიტყვას **ბერა** კი ორი მნიშვნელობა ჰქონია. ერთერთი განმარტებით, ეს მოძველებული სიტყვაა და ნიშნავს ზე ამართულ და გადაჯვარედინებულ ხმლებს, შუბებს და მისთ. რომელთა ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ მტერს. ამას შევუდართოთ **ალაიას** ა. თაყაიშვილისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც ეს გურული სიტყვაა და ორ მწკრივად პირისპირ მდგარ ადამიანებს აღნიშნავს, **ალაიაში გატარება/გაძვრენა** კი ადამიანის საჯაროდ შერცხვენით დასჯას ნიშნავს. ორივე ფრაზეოლოგიზმი მოყვანილი აქვს თ.სახოკიას, ოღონდ **ბერაში გაატარებს** მას ასე აქვს განმარტებული: გამასხარავეს, ბერიკად გახადეს. შემდეგ კი აღნიშნულია, რომ “ვისი გამასხარავებაც ან ჯავრის ამოყრაც უნდათ, აქეთი-იქით ჩუმად ჩადებებიან ბერაში და ისე გაატარებენ, თან სამასხარაო სიტყვას ეუბნებიან ხოლმე. იხ. **ერთ ბერაში გამოყვანა**. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ასეა განმარტებული: თავის დაუღწევლობა, გათანასწორობა. იმავეს ნიშნავს **ერთ ბერაში გავლა**. რაღაა **ბერა**? “ბერა ჩიხია, მწყემსების მიერ ხელოვნურად გაკეთებული. შიგ ძალაუნებურად უნდა გაიარონ მოსაწველმა ცხვრებმა. მათი დაჭერა მაშინ ადვილია, მწყემსებს მათი უკან დევნა არ სჭირიათ. ხელში იოლად უვარდებათ და სწველიან ხოლმე. ასეთი განმარტება ეთანხმება ქველ-ში **ბერას** მეორე განმარტებას. ეს მნიშვნელობა და **ალაია** კუთხური სიტყვებია, მეორე მნიშვნელობის **ბერა** კი მოძველებული სიტყვა ყოფილა. ამიტომაც ძნელი გასარკვევია რომელ ბერასთან გვაქვს საქმე ამ სიტყვის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში, განსაკუთრებით, როცა განმარტებები ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლოა, **ერთ ბერაში გამოყვანა/გავლა** მწყემსების **ბერას** შეიცავს, **ბერაში გატარება** კი **ალაიაში გატარების** სინონიმია. სამაგიეროდ, ყველაფერი ნათელია ალაიასთან დაკავშირებით. გურულში ეს სიტყვა თურქულიდან შესულა, სადაც იგი აღნიშნავს რაზმს, წყებას; აგრეთვე ხუმრობას, გამასხარავებას, შერცხვენას, დამორჩილებას. ამ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად, სახოკია მოუხმობს ილია ჭყონიას “სიტყვის კონას” (1910) და ეგ.ნინოშვილს (“ჯანყი გურიაში”). იმავე ინფორმაციას იმეორებს შოთა ძიძიგური. ირკვევა, რომ **ალაიაში გატარება** ნიშნავს ადამიანის საჯაროდ შერცხვენას.

2. როგორც **სირცხვილის** ცნების ფსიქოლოგიური განმარტებიდან ჩანს, ამ ემოციას ადამიანი განიცდის საკუთარი ან ახლობლის, ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი უღირსი საქციელის გამო, ისეთი საქციელისა, რომელიც,

მისი გაგებით, არ შეეფერება იმ საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს. როცა ადამიანს რცხვენია, თავისი ნამოქმედარი ეთაკილება, სინდისი აწუხებს და ერიდება სხვებს დაენახოს ან თვალებში შეხედოს. ამის გამოსატყულებაა:

გარეთ თავი ვერ გამოუყვია  
ხალხში გამოსაჩენი პირი არა აქვს  
პირზე ხელის აფარება  
ქვეყანაში თავი არ გამოგვეყოფა  
სირცხვილით კარში ვერ გამოვალთ  
რა პირით გეჩვენო  
თვალს ვერ უსწორებს  
თავის დახრა (ხალუნვა)  
კულის ამოძუება – შერცხვენილი, გაწბილებული, დამარცხებული გაქცევა, გაპარვა (შდრ.: კუდით ქვა ასროლინა – სამარცხვინოდ გააქცია)  
მხრებში ამოიწურება – მხრებს ზევით ასწევს, თავს მხრებში ჩაიძვრენს (სირცხვილისგან)

ზოგჯერ ადამიანს ჩადენილის გამო თვალის გახელისაც კი რცხვენია და ურჩევნია მოკვდეს:

მზეს რაღა თვალით შეხედოს  
მკვდართათვის მიბარება  
ცოცხლად დამარხვა  
ცოცხლად მკვდარია  
საფლავის გათხრა თავისივე ხელით

ამაყ ქართველს რომ სირცხვილს სიკვდილი ურჩევნია, კარგად ჩანს ჩვენს ენაში კარგად ცნობილ ფრაზეოლოგიზმებში:

თავის მოჭრა  
ყელის გამოჭრა  
კისრის გამოჭრა  
ყელში დანის გაყრა

როცა ადამიანს სინდისი ქენჯნის და სამარცხვინო საქციელს ნანობს, ამბობს: ნეტავი პრასა მეჭამა და ეს არ მექნაო (პრასა უსიამოვნო სუნს ტოვებს პირში და მის ჭამას ერიდებიან).

3. ცუდკაცობა, საძრახისი საქციელი, ავტორიტეტის დაკრგვა, შერცხვენა გამომიხატება შემდეგი ფრაზეოლოგიზმებით:

აუგად დადება  
აუგობაში ჩამორთმევა  
კერის რყევა

სახელის გატენა  
სახელის გაფუჭება  
სახელის წახდენა  
ჩირქის მოცხება  
პირის წყლის გაშრობა  
საფლავეში გადატრიალება (მიცვალებულისა, ოჯახის წევრის სამარცხვინო საქციელის გამო)  
ხომ საფლავეში გადატრიალდა სირცხვილისგან  
სირცხვილადაც ეყოფა და სიცილადაც  
სირცხვილით დაწვა  
სირცხვილით პირის დაწვა  
სირცხვილის ნაღვერდალზე შეწვა  
სირცხვილის ოფლის წმენდა  
სირცხვილის ოფლში იწურება  
სირცხვილით გაიწურება  
სირცხვილის ფარდაგი აიხადა  
სირცხვილი ჭამა  
პური რომ სჭეროდა, ძაღლი არ გამოართმევდა – ძალიან შერცხვენილია.  
ძვალის გატენა (იგულისხმება ადამიანის ძვლის გატეხვა ადამიანის მიერვე, რაც დიდ ცოდვად, სააუგო საქმედ ითვლება)

კაცი ერიდება სასირცხვილო საქმის ჩადენას და ამიტომ არსებობს ასეთი ფიცი: ჭაღარა არ შემირცხვეს.

4. საჯაროდ შერცხვენის, დამცირების გამომხატველი გამოთქმები:

სილა აჭამა  
სირცხვილში ჩაგდება  
ქვეყანაში გამოასალამა  
თავზე ჯოხის გადამტვრევა  
ვირს წამოვასხი მისი ქურქი  
ძაღლის დაპურება ვისიმე გულზე  
ხმლის შემოსხნა  
სახელს (აბრუს) გაუტეხს

5. “სირცხვილის” სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმებში ზოგს არქაიზმები შემოუნახავს:

ქველ-ში გვაქვს და ალექსანდრე ონიანიც ასახელებს იდიომს **ბიაბრუდ გახდა** და ასე განმარტავს მას: “შერცხვენა, შეურაცხყოფა, გაბიაბრუება”. სპარსული სიტყვა *ბიაბრუ* უპირისწყლოს, უსინდისოს ნიშნავს. მისგან წარმოებული *გაბიაბრუება* შერცხვენას ნიშნავს. თავის მხრივ, ბიაბრუ სპარსულში ნაწარმოებია *აბრუ*-საგან, რაც ნიშნავს პირწყალი (*აბ* – სახე, *რუ* – წყალი) და ქართულად ხატოვნად პატიოსნებას, სინდისს, სახელოვნებას, პატივისცემას, კეთილშობილებას, მშვენიერებას აღნიშნავს.

ეს სიტყვა შემორჩენილია იდიომში **აბრუს არ იტეხს** – სახელს არ იტეხს, თავს არ ირცხვენს, საჩოთიროს არ იფერებს (თ.სახოკია). ა.თაყაიშვილი ამ იდიომს სხვაგვარად განმარტავს: “გაჭირვებას არ იმჩნევს, გულს არ იტეხს, არ ეპუება”. ამგვარი განმარტებით, რაც ქველ-ისასაც ემთხვევა, ამ იდიომს “სირცხვილის” ველში არა ფერი ესაქმება.

6. ფრაზეოლოგიზმის ზმნას მოქმედების შეზღუდული სფერო აქვს. იგივე ზმნა თავისუფალ შესიტყვებაში ბევრად მეტ სახელთან იხმარება. *ჭამა ზმნა* ფრაზეოლოგიზმებში დასტურდება სახელებთან *სირცხვილი, შიში, ჯაგრი*, თავისუფალ შესიტყვებაში კი ეს ზმნა იხმარება ყველაფერთან, რისი შეჭმაც შეიძლება.

7. “სირცხვილის” სემანტიკის შემცველ ფრაზეოლოგიზმთაგან ზოგი თავისუფალ შესიტყვებას ემთხვევა, მაგრამ მეტაფორიზებულია, გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგალითად:

**ულვაში მოიპარსა  
ქუდი მოიხადა  
პირზე მური ჩამოისვა და სხვ.**

ამათ შორეული წარსულის რეალური ფაქტები უდევთ საფუძვლად, რასაც ვერ ვიტყვით გადატანით ნათქვამზე **კული ამოიძუა**. ასევე სემანტიკურად გადააზრებულია თავისუფალი შესიტყვებები იმ ფრაზეოლოგიზმებში, რომლებშიც სირცხვილი სიკვდილთანაა გატოლებული:

**თავი მოიჭრა  
ყელი გამოიჭრა და სხვ.**

8. ბევრი “სირცხვილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმი განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქველ ტ. 1-8
2. ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, 1964
3. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979
3. ალ. ონიანი, ქართული იდიომები, 1966
4. რ. ამირეჯიბი, “სიკვდილის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №1, 1999
5. რ. ამირეჯიბი “შიშის” სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №4, 1999